პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 234 (6043)

1977 წ. 30 ნოემბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ხელბურთი

თბილისის
ტრადიციული
საერთაშორისო
ტურნირი
გაზეთ
„ზარია ვოსტოკას“
პრიზზე

„მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი“

გუშინ სპორტის სასახლეში დაიწყო თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე.

1966 წელს საქართველოს ხელბურთის 10 წლისთავის აღსანიშნავად საფუძველი ჩაეყარა ამ მეტად საინტერესო შეჯიბრებას, რომელიც ყოველთვის ძლიერ შემადგენლობას უყრის თავს. სპორტის სასახლის სარბიელზე თბილისელი სპორტის გულშემატკივრები მრავალჯერ დამტკბარან მსოფლიოს უძლიერესი კოლექტივების ხილვით.

არც წლევანდელი ტურნირია გამონაკლისი. „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატში“, როგორც ხშირად უწოდებენ „ზარია ვოსტოკას“ ტურნირს, მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — იუგოსლავიელებმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა — რუმინელმა სპორტსმენებმა, პლანეტის ერთ-ერთმა ძლიერმა კოლექტივმა — გდრ-ის გუნდმა. მათთან ერთად იასპარეზებენ მონრეალის ოქროს მფლობელნი — საბჭოთა სპორტსმენები (ორი გუნდი) და მასპინძლები — საქართველოს ნაკრები.

იუგოსლავიელთა ოსტატობა საქვეყნოდაა ცნობილი. იმპროვიზირებული, ტემპერამენტიანი ხელბურთის მიმდევარი გუნდი, მისი კაპიტნის ხორვატას თავკაცობით დღესაც დიდ ძალას წარმოადგენს. იგი თბილისის ტურნირის მხოლოდ ერთგზის გამარჯვებულია (1970 წ.), ამიტომ ყოველ ღონეს იხმარს, რომ სანუკვარ პრიზზე მეორეჯერ ამოიტვიფროს მათი სახელი.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები — რუმინელები კი პრიზს ერთხელაც არ დაუფლებიან. თბილისის ტურნირებში მათ ხშირად ახალგაზრდული შემადგენლობით ვხედავთ. ეს შეჯიბრება იყო და რჩება მათთვის მსოფლიო პირველობისთვის ან ოლიმპიადებისათვის მზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად. სწრაფ, ტექნიკურად ბრწყინვალედ მომზადებულ ხელბურთელთა თამაში, უნდა ითქვას, ძალისმიერი, ხშირად უხეშობაშიც გადადის, რაც სანახაობრივ მხარეს ბევრად აუფერულებს.

გდრ-ის ნაკრები, თუ შეიძლება ასე ითქვას, უიღბლო გუნდია. ყოველთვის ძლიერი ყველა რგოლში, ტექნიკაში, ტაქტიკაში. ხშირად უმაღლესი რანგის შეჯიბრებებში პრიზიორთა მიღმა რჩება. თამაში დაფუძნებულია წმინდა კოლექტივიზმზე, გუნდის ინტერესი თითოეულ მოთამაშის თამაშს წითელ ზოლად გასდევს.

1976 წელს მონრეალის ოლიმპიადის უმაღლესი ჯილდოს მფლობელი, საბჭოთა კავშირის ნაკრები ორი ათეული წელიწადი მოუნდა გზას ოლიმპიური ოქროს მედლებისკენ. ეჭვი არ არის, თბილისის ტურნირის არაერთგზის გამარჯვებული ახლაც ერთ-ერთი ძირითადი ფავორიტია. რაც შეეხებათ სსრკ II და საქართველოს ნაკრებებს, ეს შეჯიბრება მათთვის კარგი სკოლა იქნება. ბრძოლა აღიარებულ გუნდებთან, ძნელია, მაგრამ მასთან საპატიოც.

მაშ ასე, ტურნირმა აიღო სტარტი. გაიმართა პირველი შეხვედრები. გთავაზობთ ორ შედეგს:

რუმინეთი — გდრ
სსრკ-I — სსრკ (ახალგაზრდული)

მოგვყავს გათამაშების კალენდარი:

30 ნოემბერი. 17.00 გდრ — იუგოსლავია, 18.30 რუმინეთი — სსრ კავშირი (ახალგაზრდული), 20.00 სსრ კავშირი I — საქართველო.

1 დეკემბერი. 17.00 სსრ კავშირი (ახალგაზრდული) — გდრ, 18.30 იუგოსლავია — სსრ კავშირი I, 20.00 საქართველო — რუმინეთი.

2 დეკემბერი. დასვენების დღეა.

3 დეკემბერი. 17.00 გდრ — სსრ კავშირი I, 18.30 რუმინეთი — იუგოსლავია, 20.00 სსრ კავშირი (ახალგაზრდული) — საქართველო.

4 დეკემბერი. 12.00 იუგოსლავია — სსრ კავშირი (ახალგაზრდული), 13.30 სსრ კავშირი I — რუმინეთი, 15.00 საქართველო — გდრ; 16.45 შეჯიბრების დახურვა.

გუშინ

რუმინეთის ნაკრებმა მოუგო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს — 25:18 (12:9), ხოლო სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა — სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებს — 24:23 (13:13). საქართველო — იუგოსლავიის ნაკრებთა მატჩი დამთავრდა გვიან საღამოს.

შუა აზიის რესპუბლიკებში, ყაზახეთსა და ამიერკავკასიაში ძალზე პოპულარულია უძველესი საცხენოსნო სპორტული თამაშები. ზოგიერთის ასაკი ათას წელზე მეტს უდრის. საბჭოთა პერიოდში თამაშების პოპულარობა უფრო მეტად გაიზარდა. ბევრი მათგანი ხელახლა „დაიბადა“.

სურათებზე: ცხენბურთში ერთმანეთს ეჯიბრებიან ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის გუნდები; ქართული ეროვნული თამაში „ისინდი“ გაუჩაღებიათ საქართველოსა და სომხეთის კოლექტივებს; საცხენოსნო თამაში „ოოდარიშ“ (მხედრების ორთაბრძოლა).

ჭადრაკი

წინ გადამწყვეტი ბრძოლებია

თბილისი, ჭადრაკის სასახლე. საქართველოს ქალთა პირველობის ფინალში 9 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ნ. ჩხაიძე — 7 ქულა და 1 გადადებული პარტია, ნ. მელაშვილი (ორივე — თბილისი) — 6, ხ. გურგენიძე (რუსთავი) — 5,5 (1), ც. ქასოშვილი (გორი) — 5 (1), ა. ჩაიკოვსკაია — 5, ც. კახაბრიშვილი (ორივე — თბილისი), მ. ჭირაქაძე — 4,5-4,5 (2-2), თ. მესხი (ორივე — ქუთაისი) — 4,5 (1), ლ. თანდაშვილი — 4,5, ქ. მელაშვილი (ორივე — თბილისი) — 4 (2).

შეჯიბრებაში კიდევ სამი (VII, VIII, IX) ტური გათამაშდა. მონაწილეებმა სატურნირო ეკვატორი გადალახეს და ბრძოლა ჩემპიონის სახელისთვის უფრო გამძაფრდა.

ერთპიროვნულმა ლიდერმა ნ. ჩხაიძემ კახაბრიშვილთან შეხვედრის შემდეგ (ეს პარტია გადადებული დარჩა) სძლია ლ. ბელოზიოროვას (თბილისი) და დაუზავდა ჩაიკოვსკაიას. გადადებული პარტიების დამთავრების დღეს კი მან მოუგო მ. ხანთაძეს (თბილისი). ფინიშზე ნანას მთავარ მეტოქეებთან მოუწევს შეხვედრები.

გამარჯვებისთვის დიდი მონდომებით იბრძვიან გურგენიძე და ქასოშვილი. საანგარიშო სამ ტურში მათ 1,5-1,5 ქულა მოაგროვეს. პირველმა მოუგო ლ. კორომშინაძეს (თბილისი) და ყაიმზე შეუთანხმდა ჭირაქაძეს, მეორემ — სძლია ბელოზიოროვას და დაუზავდა ჩაიკოვსკაიას. მესამე პარტიაში კი ერთმანეთს შეხვდნენ, მაგრამ თამაში ვერ დაამთავრეს, პარტია გადაიდო.

შესაშური ენერგიით იბრძვიან დები ქეთევან და ნინო მელაშვილები. VII ტურში მათ ერთმანეთთან მოუწია თამაში და ყაიმს დასჯერდნენ. მერე ქეთევანმა ორივე პარტია (კორომშინაძესთან, ჭირაქაძესთან) უკეთეს პოზიციაში გადადო. ნინომ მოუგო ლ. სადუნიშვილს (თბილისი) და ქულა მიიღო კორომშინაძისგან.

წარმატებითი სტარტის შემდეგ ჭირაქაძე ყაიმებით კმაყოფილდება, და რა თქმა უნდა, ასე შორს ვერ წავა. მეტი სითამამე და მონდომებაა საჭირო. სწორედ ამგვარად თამაშობს მისი თანამოქალაქე მესხი, რომელმაც ზედიზედ თანდაშვილსა და მ. წერეთელს (თბილისი) ფარ-ხმალი დააყრევინა. მას მესამე პარტია სადუნიშვილთან გადადებული აქვს.

მეტი მონდომება მართებს კახაბრიშვილსაც, თუ საქართველოს ჩემპიონის სახელის შენარჩუნება სურს. იგი ჯერჯერობით ყაიმებს სჯერდება. ჩხაიძესთან შეხვედრის შემდეგ მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ხანთაძესა და თანდაშვილთან.

წინ გადამწყვეტი ბრძოლებია. სათამაშოა კიდევ ექვსი ტურის პარტიები.

* * *

სურათზე: ლ. თანდაშვილისა (მარცხნივ) და მ. ხანთაძის შეხვედრა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

წილისყრა

გუშინწინ ლენინგრადში ფ. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის ვაჟთა 45-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირი.

წილისყრის შედეგად მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. საერთაშორისო ოსტატი ი. დორფმანი (ლვოვი), 2. ოსტატი კ. გრიგორიანი (მოსკოვი), 3. დიდოსტატი გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), 4. საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი (ბაქო), 5. დიდოსტატი ე. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი), 6. დიდოსტატი ტ. პეტროსიანი (მოსკოვი), 7. დიდოსტატი ვ. ტუკმაკოვი (ოდესა), 8. დიდოსტატი მ. ტალი (რიგა), 9. დიდოსტატი ე. გელერი (მოსკოვის ოლქი), 10. დიდოსტატი ბ. გულკო (მოსკოვი), 11. დიდოსტატი ლ. ალბურტი (ოდესა), 12. დიდოსტატი ო. რომანიშინი (ლვოვი), 13. დიდოსტატი ი. ბალაშოვი (მოსკოვი), 14. დიდოსტატი ა. კოჩიევი (ლენინგრადი), 15. დიდოსტატი ვ. სმისლოვი (მოსკოვი), 16. დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი).

მეოთხე შეხვედრა

ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ბ. სპასკი — ვ. კორჩნოის ფინალურ მატჩში ორშაბათს მეორე „სამუშაო კვირა“ დაიწყო. მეტოქეებმა გაითამაშეს IV პარტია.

ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ, 35-ე სვლაზე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

მატჩის ანგარიშია 3:1 კორჩნოის სასარგებლოდ.

შაში

განტვარგი ჩემპიონია

ერევანში დამთავრდა სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის ფინალი ასუჯრიან შაშში. შეჯიბრებაში 16 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა.

ჩემპიონის სახელი მესამედ მოიპოვა მინსკელმა საერთაშორისო დიდოსტატმა ა. განტვარგმა, რომელმაც 15 შეხვედრაში 10 ქულა მოაგროვა.

II ადგილზეა უკრაინის ჩემპიონი ახალგაზრდა მოჭადრაკე ნ. მუშჩანსკი (დონეცკი).

სპარტაკელ ძიუდოისტთა წარმატება

უკრაინის ქალაქ ჩერნოვცში დამთავრდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს თასის გათამაშება ძიუდოში. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 12 გუნდი. გაიმარჯვა რსფსრ-ს პირველმა ნაკრებმა. ჩვენი რესპუბლიკის გუნდი მეორე ადგილზეა. მესამე ადგილი წილად ხვდათ უკრაინელებს. „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებში შეყვანილია ჩვენი რვა თანამემამულე. განსაკუთრებით კარგად იასპარეზეს გ. ნაკანმა, გ. ზალოშვილმა და მ. გარდაფხაძემ. გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადა უფროსმა მწვრთნელმა ა. დილმელაშვილმა და სპორტის ოსტატმა ა. ქელიხაშვილმა.

გ. ბოტკოველი,
სპორტის ოსტატი.

კალათბურთელები ემზადებიან

ტალინი, 28 ნოემბერი. ლენინგრადის „სპარტაკის“ გამარჯვებით დამთავრდა უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე პროფკავშირული გუნდების ტურნირი, რომელიც ქვეყნის ჩემპიონატისთვის მზადყოფნის შემოწმება იყო. მოედნის მასპინძლებთან — „კალევის“ კალათბურთელებთან ლენინგრადელებმა დამაჯერებელ უპირატესობას მიაღწიეს — 85:71 (47:45). თამაში, რომელიც კომბი-

და, სპარტაკელებმა მხოლოდ ბოლო 10 წუთში „ააწყვეს“, რისთვისაც ადგილობრივ სპორტსმენებს ძალა არ ეყოთ.

II ადგილზე გავიდა ვილნიუსის „სტატიბა“, III ადგილი „კალევს“ ხვდა. მოსალოდნელზე ცუდად იასპარეზა კიევის „სტროიტელმა“, რომელმაც IV ადგილი დაიკავა. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ ტალინში არ უთამაშიათ ტკაჩენკოს, სალ-

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში აშშ-ის ტურნეში მონაწილეობდნენ.

მწვრთნელთა და კალათბურთის სპეციალისტთა აზრით, უმჯობესი იქნებოდა ეს ტრადიციულად ქცეული ტურნირი ჩატარებულიყო საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე 15-20 დღით ადრე, რათა მისი შედეგების მიხედვით მოესწროს აუცილებელი ცვლილებების გატარე-

უფავორიტებოდ

მაგიდის ჩოგბურთი

მაგიდის ჩოგბურთის ოსტატთა რესპუბლიკურ პირად-გუნდურ ჩემპიონატში, რომელიც თბილისის წყალჯომარდობის ცენტრალური ბაზის სპორტდარბაზში გაიმართა, 64 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. პირველობა ბოლო წლების შეჯიბრებებისგან განსხვავებული სისტემით ჩატარდა: ჯერ 8-8 ჩოგბურთელით დაკომპლექტებულმა კოლექტივებმა გაითამაშეს გუნდური პირველობა, შემდეგ კი პირადი ასპარეზობა გაიმართა.

გუნდური შეჯიბრების ფინალში ტრადიციული მეტოქეები — თბილისისა და აჭარის კოლექტივები შეხვდნენ ერთმანეთს. აქ, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქალთა პირველი ჩოგნების, ბათუმელ ლ. კარაპეტიანისა და თბილისელ ნ. ოლეინიკოვას ორთაბრძოლას. როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა.

პირველმა ორმა ხელმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მესამე, გადამწყვეტ პარტიაში, თბილისელი ჩოგბურთელი შესამჩნევად დაწინაურდა — 6:2, 9:3, მაგრამ კარაპეტიანმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შეხვედრის მიწურულს კი ორი ქულითაც გავიდა წინ — 20:18, მაგრამ ასპარეზობის თავის სასარგებლოდ დამთავრება მაინც ვერ შეძლო — ოლეინიკოვამ ზედიზედ 4 ქულა მოიგო და ამ გამარჯვებით პირველი ქულა შესძინა თავის კოლექტივს.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა ვაჟთა უკანასკნელ შეხვედრას ბათუმელ ოსტატ რ. დოლიძესა და თბილისელ ა. ფრანგიანს შორის (მანამდე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ს. სარხოიანმა, აგრეთვე, მისმა უმცროსმა ძმამ გიორგიმ და ზ. უკლებამ „დაგეგმილი“ ქულები აიღეს).

21 წლის ფრანგიანმა, რომელიც შარშან რესპუბლიკის უძლიერეს ჩოგბურთელთა ოცეულშიც კი ვერ მოხვდა, წელს სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა: ჯერ იყო და, ორიოდე კვირის წინ, თბილისის ჩემპიონობა მოიპოვა; ახლაც ასევე დამაჯერებლად იასპარეზა და დაამარცხა დოლიძე, რითაც დიდი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის საერთო წარმატებაში. აქვე დავძენთ, რომ ფრანგიანმა არც პირად ტურნირში შეირცხვინა თავი და მეოთხე ადგილზე გამოვიდა.

საბოლოოდ, თბილისელებმა (მ. პაპუკაშვილი, ნ. ოლეინიკოვა, ნ. გოზალიშვილი, ს. გვილავა, ვ. გორგიშელი, ჯ. გოგოლაძე, მ. კაპანაძე, ა. ფრანგიანი, მწვრთნელი — სპორტის ოსტატი გ. მელაძე) გაიმარჯვეს ანგარიშით 6:5 და პირველობა დაისაკუთრეს. აჭარის წარმომადგენლები (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კ. გუგუშვილი) ამჯერად მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ქუთაისელებმა (მწვრთნელი ი. ნაცვლიშვილი) სძლიეს სამხრეთ ოსეთის ჩოგბურთელებს. შემდეგ მოდიან რუსთავის, საჩხერის და აფხაზეთის წარმომადგენლები.

პირადი ასპარეზობა, როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა შორის ერთობ შესუსტებული შემადგენლობით ჩატარდა. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის უძლიერეს ვაჟთა ათეულიდან სხვადასხვა მიზეზების გამო 6 (!) ვერ ვიხილეთ სარბიელზე. რაც მთავარია, არ უთამაშიათ შარშანდელ ჩემპიონებს სიმელა პარფინიდის და ჯემალ მელაძეს. ვერც სარქის სარხოიანი გამოვიდა სტარტზე: გუნდური პირველობის დამთავრებისთანავე მან ლვოვს მიაშურა პროფკავშირების საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, რის შემდეგაც პოლანდიაში მიემგზავრება საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ლიგის პირველობის მატჩში სათამაშოდ.

ლიდერების არყოფნაში ბრძოლა პირველობისთვის თბილისელ ვ. გორგიშელსა და გ. სარხოიანს შორის გაჩაღდა. ბათუმელმა სარხოინმა (მწვრთნელი — კ. გუგუშვილი) გადამწყვეტ ორთაბრძოლაში სძლია კონკურენტს და პირველად მოიხვეჭა უძლიერესის სახელი. მესამე საპრიზო ადგილზე ზ. უკლება (ბათუმი) გამოვიდა.

ქალთა შეჯიბრებაში ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდეს საქართველოს ექსჩემპიონმა მ. პაპუკაშვილმა და 18 წლის ნ. გოზალიშვილმა. ორივეს მომავალში მწვრთნელად მუშაობა აქვს გადაწყვეტილი — გაისად ამთავრებენ ფიზიკური კულტურის ტექნიკუმს. ორივე ზედმიწევნით იცნობს ერთმანეთის ძლიერ და სუსტ მხარეებს; ამიტომაც იყო, რომ შეხვედრა მათ შორის პირველობისთვის უშეღავათო ბრძოლით აღინიშნა. პირველ პარტიაში უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა და ბოლოს გოზალიშვილმა იმარჯვა — 23:21. მეორეში უკვე პაპუკაშვილი იყო მოწოდების სიმაღლეზე — 21:17. მაგრამ მან გადამწყვეტ პარტიაში ჯეროვანი წინააღმდეგობა ველარ გაუწია მეტოქეს და დამარცხდა — 13:21.

აღსანიშნავია, რომ გოზალიშვილმა (მწვრთნელი ლ. სნეგირევსკაია) ყველა ორთაბრძოლა ძლიერად ჩაატარა — 9 შეხვედრაში მხოლოდ ერთი პარტია დასთმო.

ნ. გოზალიშვილმა ქალთა და შერეულ წყვილთა ასპარეზობაშიც გაიმარჯვა და ამრიგად, საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

ქალთა წყვილების ფინალში გოზალიშვილმა და პაპუკაშვილმა დაამარცხეს ე. მაზურენკო (თბილისი) — ი. კასოევას (სამხრეთ ოსეთი) „დუეტი“. მესამე ადგილი ოლეინიკოვასა და კარაპეტიანს ერგოთ.

მესამე გამარჯვება გოზალიშვილმა სარხოიანთან ერთად მოიპოვა. ფინალში ჩემპიონებმა მოუგეს კარაპეტიანსა და უკლებას. მესამე იყო მაზურენკო — ჯ. გოგოლაძის წყვილი.

ვაჟთა შორის წარმატებით იასპარეზეს დოლიძემ და უკლებამ. მეორე ადგილზე გამოვიდნენ გორგიშელი და სარხოიანი, ხოლო მესამე ადგილი გოგოლაძეს და ფრანგიანს ხვდათ წილად.

გ. ახალაძე.

* * *

სურათებზე: საქართველოს ჩემპიონები ნ. გოზალიშვილი და გ. სარხოიანი.

ავტორის ფოტოები.



ლიდერობს „თოლია“

თბილისის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე 2 ქვეჯგუფის გუნდებიდან შერჩეული იქნა 6 საუკეთესო, რომლებიც გააგრძელებენ ბრძოლას ჩემპიონის წოდებისთვის. ფინალისტთა შორის არიან „უმბა“, „თოლია“, „ივერია“, აგრეთვე, ტელევიზიის, ზოოვეტინსტიტუტისა და უნივერსიტეტის გუნდები.

ფინალურ ჯგუფში ჩატარდა 3-3 მატჩი. 6 ქულით ლიდერობს „თოლია“.

ბურთი, სტადიონი, გულშემატკივარი

— ეს ჩვენი ხალხის უდიდეს კულტურას, ქართველი კაცის რაინდულ სულსა და კეთილშობილებას გაუმარჯოს!...

— არის! — არაადამიანური ხმით იყვირა ტელეკომენტატორმა და თამადის ბოლო სიტყვები ტელევიზორიდან მოვარდნილმა გამაყრუებელმა ყიჟინამ დაფარა.

— მეჩვიდმეტე წუთზე მეტოქის კარში...

აქ კი თამადამ იმარჯვა და ტელეკომენტატორს სიტყვა დაასწრო:

— მოდით ყველა იმ სპორტსმენს გაუმარჯოს, ვისაც შორს გააქვს ჩვენი ერის დიდება და ამდენ სიხარულს გვანიჭებს გულშემატკივრებს...

გულშემატკივარი!... მართლაც, რომ მშვენიერი სიტყვაა. გულშემატკივარი — ე. ი. ადამიანი, რომელიც შენზე ზრუნავს, ფიქრობს, ერთი სიტყვით, შენზე რომ გული შესტკივა.

ვიღაცის მოსწრებული თქმით, მსოფლიოს მოსახლეობა ორ ნაწილად იყოფა: ერთი ნახევარი ჩვეულებრივი მოკვდავნი არიან, მეორე — გულშემატკივრებიო. შეიძლება ცოტა გადაჭარბებითაა ნათქვამი, მაგრამ სპორტის მოყვარულთა რიცხვი ხომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მართლაც მილიონობითაა.

მაინც ვინ არის გულშემატკივარი?

ჩვეულებრივი ადამიანი, ვინც შეყვარებულია სპორტზე, კარგად ერკვევა მსაჯობის ნიუანსებში და რა თქმა უნდა, ყოველმხრივ ქომაგობს თავის გუნდს. ერთი სიტყვით გულშემატკივარია და ამით ყველაფერი ითქვა.

რაღა თქმა უნდა, რომ სპორტსმენსაც უყვარს მაყურებელი. „საკუთარი კედლების“ მაგიური ძალა ხომ საქვეყნოდაა ცნობილი: აბა ვის სიამოვნებს ცარიელი ტრიბუნა?

რა გამოდის? სპორტსმენი, სტადიონი, მაყურებელი... ერთიანი ჯაჭვი. ცალკე სპორტსმენი რაღაც რიგითი ამბავია, ცარიელი სტადიონი ჩვეულებრივი სპორტული ნაგებობაა, მაგრამ სულ სხვაა როდესაც ყოველივე ეს ერთ მთლიანობაშია, როდესაც შფოთავს და ღელავს სტადიონი.

დიახ ასეთია ის — ყოველთვის დაუდეგარი, მშფოთვარე, ხმაურიანი, უაღრესად ემოციური და ობიექტური. ყოველთვის ასეთი იყო ჩვენი თბილისის სტადიონი, ამჟამად არაჩვეულებრივად გრანდიოზული, ამავე დროს ელეგანტური, თან რაღაც თბილი და ახლობელი, ალაგ-ალაგ შემორჩენილი ძველი ჩუქურთმით და განუმეორებელი თაღით.

ეს ასე ვთქვათ ლირიკული შესავალი, ახლა კი პროზაზე გადავიდეთ.

გამახსენდა თამადის სიტყვები, ჩვენს დიდ კულტურაზე, კეთილშობილებაზე და რაინდულ სულზე რომ ლაპარაკობდა... გამახსენდა და გული მეტკინა. მინდა შენც გაიხსენო ჩემო მკითხველო, გაიხსენო იმიტომ, რომ ერთად ჩავუფიქრდეთ შექმნილ სიტუაციას, ფაქტებს ნუ შევალამაზებთ, რაც სათქმელია პირდაპირ ვთქვათ.

როგორ, საიდან შემოგვეპარა ეს, უშვერი სიტყვებით უხვად მომარაგებული მაყურებელი? მაყურებელი და არა გულშემატკივარი. მას შეუძლია მოკიდებული პაპიროსი მეორე იარუსიდან პირველზე გადააგდოს, მინდვრისკენ ბოთლი ისროლოს, ცხრასართულიანი გინება გამარჯობასავით მოგახალოს, შენ კი ჩემო გულშემატკივარო ყოველივე ამას იტან და უკეთეს შემთხვევაში თავს ისე იჭერ, თითქოს შენ არაფერი გეხება, ზიხარ როგორც გარეშე მაყურებელი და არა როგორც სტადიონის ბატონპატრონი — გულშემატკივარი.

ითმენ და ისმენ, უყურებ და ვერ ხედავ. და ჰოი, საოცრებავ, ზოგჯერ რა რიგად აყვები ხოლმე ზოგიერთ უმეცარსა და უგნურს. აყვები და ერთი გაჩვენა შენი თავი, როგორ უცბად კარგავ კეთილშობილებას და დიდსულოვნებას, რაინდულ სულსა და მაღალ კულტურას, რომელზეც სადღეგრძელოში...

თუმცა კმარა, მაპატიე მკითხველო, რაღა თქმა უნდა, რომ ყოველივე ზემოთქმული ყველას არ ეხება.

ნამდვილო გულშემატკივარო, სპორტის უანგაროდ თაყვანისმცემელო და სპორტის დიდო ერუდიტო, განა შენ კი გეკადრება ის, რომ ვიღაც ვიგინდარა პარპაშობდეს შენს სტადიონზე? ნუთუ ათასობით შენსავით გულშემატკივარს, სპორტის ნამდვილ მოყვარულს და არა სეირის მაყურებელს არ ძალუძს თითო-ოროლა ვიგინდარის ალაგმვა?

„რა ჩემი საქმეა, მე არ მეხება!“ აბა ვის ეხება თუ არა შენ და ათასობით შენსავით სპორტის თაყვანისმცემელს?

მსაჯს აბრალებ? მეც გეთანხმები... სამწუხაროდ ჯერ კიდევ არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით უმსგავსობას, მაგრამ განა შენ არ იცი, რომ მსაჯებს ყველაზე მეტად თბილისში უჭირთ მსაჯობა? ალბათ ისიც იცი, რომ პირველ ადგილზე ვართ მაყურებელთა სიმრავლის მხრივ და მსაჯიც ადამიანია, ათასკაციანი ტრიბუნის ერთმა შეკიჟინებამ მსაჯი კი არა, შეიძლება ქვა გამოიყვანოს წონასწორობიდან.

არ იფიქრო ვამართლებდე ნებით თუ უნებლიე შეცდომებს, მაგრამ ჩემო გულშემატკივარო, სპორტის ნამდვილო მოყვარულო, მოდი ნუ დაკარგავ ობიექტურობის გრძნობას და იყავი გულახდილი საკუთარი თავის წინაშე. აბა გაიხსენე, როდის დაუკარი უკანასკნელად ტაში მეტოქის მიერ ჩვენს კარში გატანილ ულამაზეს ბურთს, როდის ატეხე სტვენა, როცა მსაჯი ნებით თუ უნებლიედ საეჭვო „პენალტს“ ჩვენს სასარგებლოდ ნიშნავდა, ანდა აშკარად ჩვენს მიმართ სიმპათიებს ამჟღავნებდა?

მაშ რატომ ბობოქრობ, როცა ყოველივე ეს ჩვენს გუნდს ეხება, მაშ რატომ კარგავ ობიექტურობას თბილისელო მაყურებელო, შენ ხომ ოდითგანვე განსაკუთრებული ობიექტურობით იყავი ცნობილი?

მსაჯი შეცდა, მერე? ამიტომ ვამტვრიოთ და ვლეწოთ ტრიბუნები, ვამსხვრიოთ მინები, ვანგრიოთ ჩვენი „ხელიხელ საგოგმანები“ სტადიონი?.

„მე არ მეხება, წესრიგი სხვამ დაიცვასო“. იცი თუ არა ჩემო გულშემატკივარო, რომ იმ „ვაი“ მაყურებელს შენი გულგრილობისა და სხვის საქმეში ჩაურევლობის იმედი რომ არ ჰქონდეს სტადიონზე შემოსვლასაც კი ვერ გაბედავდა?

შენ შეიძლება ისიც არ იცი, თუ რა დიდ და დაძაბულ შრომას იწევიან სხვადასხვა ორგანოები შენს საყვარელ სტადიონზე წესრიგის დასამყარებლად.

მაპატიე ჩემო გულშემატკივარო, რომ ასე მოგმართავ, მაგრამ დღეს სხვანაირად არ შეიძლება.

რაც მოხდა, იმას ველარ გამოასწორებ, მაგრამ მომავალზე კი სერიოზულად უნდა ვიფიქროთ.

ახლა კი შენ მინდა მოგმართო ყოველივე ზემოდთქმულის თავო და თავო.

შენ სპორტსმენი ხარ და ეს ბევრ რამეს ნიშნავს, შენ ხალხის სათაყვანო კერპი და ცნობილი პიროვნება ხარ. შენ ჩვენი დიადი სამშობლოს სრულუფლებიანი დესპანი და ჩვენი კულტურის მატარებელი ხარ.

მაგრამ შენ რომ ყველა ღირსებით შეგამკეს, სამაგიეროს რით უხდი იმ ხალხს, ვინც ფეხი აგადგმევინა, სული შთაგბერა და კაცად გაქცია... შენ რით ამართლებ იმ დიდ ნდობასა და სიყვარულს, რომელსაც შენდამი იჩენენ?

დაფიქრებულხართ ამაზე? ჩვენ კარგად გვესმის სპორტის ნიუანსები, ვიცით სპორტის ბუნება და არსი, ისიც ვიცით, რომ როცა ყველაზე ძალიან გინდა, შეიძლება სწორედ მაშინ არაფერი გამოგივიდეს, მაგრამ როდესაც შენს მოუმზადებლობას, შენ სისუსტეს სხვას აბრალებ, როდესაც მსაჯის ყოველ დასტვენაზე დემონსტრაციულად მაყურებლის დასანახავად ხელებს შლი, შემხედეთ რა ბიჭი ვარ და როგორ მჩაგრავენო... განა ეს კი გეპატიება?

აბა კარგად დაფიქრდი. იქნებ ერთ-ერთი (თუ არა მთავარი) ფიგურა შენ ხარ, რომელიც წყვეტს იმ უხილავ კონტაქტს, მოედანსა და ტრიბუნებს შორის რომ არსებობს. იქნებ შენი დაუოკებელი ემოციების ბრალია მაყურებლის რეაქცია? შენ ხომ კარგად იცი, თუ რა მაგიური ძალა აქვს თითოეულ შენს ჟესტს. მაშ რატომ იყენებ ამას ბოროტად?

ძნელია, იყო დიდი სპორტსმენი, უფრო ძნელია, იყო მოქალაქე, ძნელია, ყველაზე კრიტიკულ მომენტში, იმ დროს, როდესაც შიგნით ყველაფერი გიდუღს, საკუთარი გრძნობების დაოკება, ძნელია, მაგრამ აუცილებელია, თუ შენ ნამდვილად სპორტსმენი ხარ, შეუძლებელი უნდა გააკეთო. ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ შენს უკან ის ხალხია, ვინც აღგზარდა, ვინც ძალ-ღონე მოგცა, სული შთაგბერა, ამიტომ ყოველივე ამას ღრმა გააზრება და სწორი დასკვნების გაკეთება უნდა.

ჩვენ მხოლოდ ერთ მხარეს შევეხეთ, მაგრამ არის მეორე მხარეც, აქ კი სპორტის მესვეურებთან გვაქვს საქმე.

განა ჩვენ კი მართლები ვართ და ბრალი არ მიგვიძღვის? არის გულშემატკივართა მთელი არმია, ათასობით სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანი, რომლებსაც ერთი ძირითადი — სპორტისადმი უანგარო სიყვარული აერთიანებთ და ეს უზარმაზარი არმია ყოველგვარ ყურადღებას მოკლებულია. განა უფრო სწორი არ იქნებოდა მათი წარმართვა და გამოყენება, მათ შორის მე ბევრს ვიცნობ, რომელთა საერთო და სპორტული ერუდიცია დიდ სარგებლობას მოუტანდა ქართულ სპორტს. მით უმეტეს, რომ ამის მაგალითები უკვე გვაქვს.

მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე დიდი ხანია არსებობს გულშემატკივართა კლუბი, რომლის საქმიანობას უდიდესი სარგებლობა მოაქვს: თუნდაც ის ფაქტი, რომ გულშემატკივართა კლუბი ადგენს ტექსტებს, რომლებსაც ტაიმებს შუა გადმოსცემენ, უშვებს კრებულებს, ყოველწლიურ სტატისტიკურ ანგარიშებს და სხვ. მათ საკუთარი სახსრებიც საკმარისად უგროვდებათ.

განა სამაგალითო არ არის ბულგარეთის გულშემატკივართა კლუბ „ლევსკის“ საქმიანობა? ამ კლუბის წევრების მოვალეობაში სხვა საზოგადოებრივ დატვირთვასთან ერთად სტადიონზე მატჩის დროს წესრიგის დაცვაცაა.

ჩვენ კი რას ვაკეთებთ? არაფერს. იქნებ შეგვექმნა სპორტის მოყვარულთა კლუბი იქვე, „დინამოს“ სტადიონზე. ამ კლუბს ოფიციალურად მივცეთ სტატუსი, დებულება. დავაკანონოთ მისი მოქმედების არე, უფლება-მოვალეობანი.

ვგონებ, დადგა დრო სერიოზულად ვიფიქროთ მაყურებლის პრობლემებზე, ვიფიქროთ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, მის სპორტულ კრედოზე და აღზრდაზე.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ ზოგი რამ უკვე გაკეთდა. ჩვენს დედაქალაქში ჩამოსულ სპორტსმენებზე შეფების მიმაგრებამ, ტაიმებშუა სპორტული სანახაობების მოწყობამ და სხვა ღონისძიებებმა გარკვეული შედეგი გამოიღო.

სულ ახლახან კი თბილისის სპორტკომიტეტის ფეხბურთის ფედერაციასთან ფეხბურთის პროპაგანდის სექცია შეიქმნა, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს გულშემატკივართა საქმიანობას.

ერთი სიტყვით ბევრი სასიკეთო და სასარგებლო საქმის გაკეთება შეიძლება. ყოველივე ეს ჩვენი ერის პრესტიჟისა და ავტორიტეტის საქმეა.

— სპორტულ სანახაობაზე მხოლოდ სპორტის ნამდვილი მოყვარული!

— სპორტულ სარბიელზე მხოლოდ ნამდვილი სპორტსმენი!

დოც. გივი ყირმელაშვილი

რედაქციისგან: გ. ყირმელაშვილის წერილში საინტერესო პრობლემებია დასმული. კარგი იქნება, თუ ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები, სპორტის მოყვარულები გამოეხმაურებიან ამ წერილს, წამოაყენებენ თავიანთ წინადადებებს, თუ როგორი კონტაქტი უნდა დამყარდეს გულშემატკივრებსა და მოასპარეზეთ შორის, რა არის საჭირო, რომ სრული წესრიგი იყოს სტადიონებსა თუ სხვა სპორტულ სარბიელებზე.

ხელბურთი

ერთი ჩემპიონატის ავი და კარგი

საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი ხელბურთში I ჯგუფის ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60-ე წლისთავისადმი, წინა წლებთან შედარებით სრულიად განსხვავებული სისტემით ჩატარდა.

გათამაშება მიმდინარეობდა მთელი წლის განმავლობაში ორ წრედ და 4 ტურად, რამაც ხელი შეუწყო სასწავლო-საწვრთნელი პროცესის გეგმაზომიერად განაწილებას.

შეჯიბრების დებულებაში შეტანილ იქნა ორი ახალი პუნქტი. ერთი მოთამაშეთა სიმაღლის, ხოლო მეორე — მათი ასაკის განმსაზღვრელი, რამაც თავისებური ნიშანი დაატყო ასპარეზობას.

ჩემპიონატმა შეაჯამა არა მარტო მონაწილე გუნდების მწვრთნელთა შრომა ახალი ტალანტების, პერსპექტიულ მოთამაშეთა აღმოჩენასა და მათ აღზრდაში, არამედ სააშკარაოზე გამოიტანა ხელბურთის მდგომარეობა რესპუბლიკის ქალაქებში, სპორტულ საზოგადოებებში, სპორტულ სკოლებში.

სამწუხაროდ, ყველაფერი რიგზე როდი აღმოჩნდა. ჩემპიონატის სიკეთე დაეტყო მხოლოდ რამდენიმე გუნდს და პირველ რიგში თბილისის ზოოვეტინსტიტუტისა და ქუთაისის ქალთა, სამედიცინო ინსტიტუტის, თელავისა და სამტრედიის ვაჟთა კოლექტივებს, მათ ვინც მთელი წლის მანძილზე ნაყოფიერად იშრომეს და „მოსავლითაც“ კმაყოფილნი დარჩნენ.

გაკვირვებას იწვევს სოხუმის „კოლმეურნის“ ვაჟთა გუნდის შედეგები. გუნდმა ვერ შეძლო ვერც ერთი ქულის მოპოვება. იგი როგორც ფიზიკურად, ასევე ტექნიკურად და ტაქტიკურად აშკარად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ამავე დროს მათ პასუხისმგებლობის გრძნობაც კი დაკარგეს. მეორე წრის ფინიშზე გუნდი მოიხსნა შეჯიბრებიდან მესამე ტურში გამოუცხადებლობის გამო, რაც მათთვის პირველი შემთხვევა არ იყო. ასევე მოიქცა გუნდი საქართველოს თასის გათამაშების დროსაც.

რესპუბლიკის მეორე ახალგაზრდულ თამაშებში აფხაზეთის ჭაბუკთა ნაკრებმა ბოლო ადგილი დაიკავა. კარგა ხანია, მწვრთნელებს არც ერთი სრულყოფილი მოთამაშე არ აღუზრდიათ რესპუბლიკის ნაკრებისთვის.

სამწუხაროა, რომ კარგი ტრადიციების მქონე აფხაზეთის ხელბურთმა ასეთი ჩავარდნა განიცადა, მით უფრო საწყენია, რომ ახალგაზრდა თაობის აღზრდას გამოცდილი მწვრთნელები, წარსულში ცნობილი ხელბურთელები ხელმძღვანელობენ.

იმედია, რომ საქართველოს ხელბურთის ფედერაცია რესპუბლიკის სპორტკომიტეტის სპორტთამაშობათა განყოფილებასთან ერთად განიხილავს არა მარტო სოხუმელ ხელბურთელთა გულგრილ დამოკიდებულებას ჩემპიონატის მიმართ, არამედ საერთოდ ხელბურთის მდგომარეობას ავტონომიურ რესპუბლიკაში და სათანადო ზომებს მიიღებენ.

თითქმის იგივე მდგომარეობაა ქალაქ ფოთში, ქალაქში, რომელიც რამდენიმე წლის წინათ თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდის სამჭედლო იყო, როცა ადგილობრივ სპორტსკოლაში მონდომებით შრომობდა მწვრთნელი ქ. გაგულია. დღეს აქ სულ სხვა სურათია: დავემდუროთ ბაზას? — არ შეიძლება, მოქმედებს სრულყოფილი სპორტული დარბაზი. ჯგუფები? — არის. მწვრთნელები? — არიან. არ არის მხოლოდ დღევანდელი ცხოვრების უპირველესი პირობა — ხარისხიანი შრომა.

და სწორედ ამის შედეგია ის, რომ ოდესღაც ფოთელთა საინტერესო ვაჟთა გუნდიც დღეს იშვიათად მონაწილეობს შეჯიბრებებში და თუ მონაწილეობს — წარუმატებლად. ქალთა კოლექტივმა კი სოხუმელ ვაჟ ხელბურთელთა ბედი გაიზიარა — შეჯიბრებაზე გამოუცხადებლობის გამო ისიც მოიხსნა ჩემპიონატიდან.

არასახარბიელო მდგომარეობაა ბათუმშიც. თუმცა შეგვიძლია იმით დავიმშვიდოთ თავი, რომ აქ ბავშვებთან მუშაობა კარგ დონეზე დგას. რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებში აჭარის წარმომადგენლები თითქმის ყოველთვის არიან.

როგორც წინა წლებში, ასევე წელსაც, თბილისელ ხელბურთელებს პერიფერიის ვერც ერთმა გუნდმა ვერ აუბა მხარი. თუმცა სამისო მისწრაფება ჰქონდათ ქუთაისელ გოგონებს, თელაველ და სამტრედიელ ვაჟებს. ბოლო წლებში ამ ქალაქებში რამდენიმე ნიჭიერი ხელბურთელი აღიზარდა, რომლებიც საქართველოს ახალგაზრდული გუნდის წევრებიც კი გახდნენ, მაგრამ შემდგომ მათი დაოსტატების საქმე წინ არ მიდის, რაც არა მარტო ამ ქალაქების, არამედ მთელი ჩვენი ხელბურთის საჭირბოროტო საკითხია.

პერსპექტიულ მოთამაშეთა უმრავლესობა ვერ ხვდება რა ბურევესტნიკელთა რიგებში — იკარგება. მათი სპორტული მაჩვენებლები კლებულობს და სპორტსმენი თანდათან ქრება ხელბურთის სარბიელიდან. სწორედ ამ მიზეზმა განაპირობა ის, რომ ჩემპიონატში დაშვებულ იქნა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებები (რაც შემდგომში ტრადიციად უნდა გადაიქცეს). ეს აუცილებლობა მოითხოვა აგრეთვე, ამ გუნდების მონაწილეობამ საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში.

ჩემპიონატმა, სწორად დაგეგმილმა საწვრთნელმა პროცესმა, № 3 რესპუბლიკური უმაღლესი ოსტატობის სკოლის (დირექტორი ამხ. კ. გონაძე) აქტიურმა დახმარებამ ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს (უფროსი მწვრთნელები გ. მაჭავარიანი და ჯ. ძაგანია) საშუალება მისცა წარმატებით გამოსულიყვნენ საკავშირო თამაშებში და საოცარია, რომ ერთ-ერთი გუნდი, კერძოდ ჭაბუკები, ჩემპიონატის შუა გათამაშებაში დაიშალა და ტურნირი ვერ დაამთავრა სრული შემადგენლობით.

ვფიქრობთ, ხელბურთის შემდგომი ზრდისთვის, მისი მომავლისთვის აუცილებელია გუნდის აღდგენა, მისთვის პირობების შექმნა. კვალიფიციური მწვრთნელების დანიშვნა და კეთილსინდისიერი შრომა, მით უმეტეს, რომ მომავალ წელს ტარდება სსრ კავშირის პირველობა 1958-59 წლებში დაბადებული სპორტსმენებისთვის რამდენიმე ტურად.

დღევანდელი ხელბურთი გაიზარდა. გაიზარდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითაც. დღეს უკვე გასაკვირი არ არის მოედანზე გიგანტების გამოჩენა. მომავალი წლის ყველა საკავშირო თამაშების დებულებაში შეტანილია სპეციალური პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს გუნდებში ერთი ან ორი 195-200 სმ მოთამაშის ყოფნას. სწორედ ამის გამო, ბურევესტნიკელთა სასარგებლოდ, ჩვენი ხელბურთის მომავლის სასიკეთოდ, ახალი ტალანტების საძიებლად საქართველოს ჩემპიონატის დებულებაში აღნიშნულ იქნა სიმაღლის განმსაზღვრელი პუნქტი. და უნდა ითქვას, რომ მწვრთნელებმა იზრუნეს მის შესასრულებლად. ჯერჯერობით აღნიშვნის ღირსია მხოლოდ თელაველი ი. ჩიბირაშვილი (200 სმ), რომელსაც დიდი შრომა მართებს მომავალში, რათა სრულყოფილი მოთამაშე დადგეს.

იმედია, რომ მომავალში ა. ანპილოგოვს მხარში ამოუდგება გიგანტთა ახალი ჯგუფი.

ჩემპიონატის დადებითი მხარე ის გახლავთ, რომ დებულებით გუნდები გაახალგაზრდავდნენ. მართალია, გათამაშებაში „ბურევესტნიკის“ ქალთა (მწვრთნელი გ. მაჭავარიანი) და „ლოკომოტივის“ ვაჟთა (მწვრთნელი დ. დანელია) გუნდებმა იზეიმეს გამარჯვება, რაც უფრო ვეტერანების დამსახურებაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მომავალს ოპტიმისტურად არ ვუყუროთ. ბათუმელები ნინიძე და ნარსია, სამტრედიელი ქაჯაია, თელაველი ჩიბირაშვილი, სეფაშვილი, ჭანტურია, ჯოხაძე, ბაბანასოვი... აი არასრული სია იმ ახალგაზრდებისა, რომელთაც მომავალში უნდა გააგრძელონ ვეტერანების მიერ გაკვალული გზა.

ჩემპიონატის მეორე დადებითი მხარე ის გახლავთ, რომ მან სააშკარაოზე გამოიტანა რესპუბლიკის ქალაქებში სპორტული ორგანიზაციების მიერ ხელბურთისადმი დამოკიდებულების საკითხი, შეჯიბრების ჩატარების ორგანიზაციის საკითხი, რაც ესოდენ საჭირბოროტო იყო ახლო წარსულში. სასიამოვნოა, რომ ორივე საკითხი დადებითად გადაწყდა.

თუ წინათ ჩემპიონატს ხშირად მასპინძლობდა თბილისი, წელს შეჯიბრების ჩამტარებელი ქალაქების გეოგრაფია გაიზარდა: თელავი, ბათუმი, სამტრედია, ტყიბული, ქუთაისი, ფოთი... ხელბურთმა მოინადირა ყვარლელ სპორტისმოყვარულთა გულიც — შესანიშნავ სპორტის სასახლეში მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა ჩემპიონატის ერთ-ერთი ტური და მასპინძლებმა მონაწილეთა მადლობა დაიმსახურეს.

ჩემპიონატის მონაწილეთა უმრავლესობა სტუდენტები არიან, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ყურადღებით სარგებლობს სპორტის ეს სახეობა, თუმცა იგი ჯეროვან სიმაღლეზე არ დგას. მისასალმებელია ზოოვეტინსტიტუტის ქალთა (მწვრთნელი გ. კაპანაძე) და სამედიცინო ინსტიტუტის ვაჟთა (მწვრთნელი ზ. ფხალაძე) გუნდების წარმატება. მწვრთნელებმა ახალგაზრდებს შეაყვარეს ხელბურთი, მუყაითი შრომით შექმნეს რესპუბლიკაში ერთ-ერთი ძლიერი კოლექტივები და შესაფერისი ადგილებიც დაიკავეს. მათ დიდ ყურადღებას აქცევს რექტორატი, ადგილკომი, ფიზკულტურის კათედრა, რაც სხვა უმაღლეს სასწავლებლებისთვის მისაბაძი მაგალითია.

ახლო წარსულში რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებში წარმატებით გამოდიოდნენ პედაგოგიური და უცხო ენათა ინსტიტუტების ქალთა კოლექტივები. დღეს მათ ასპარეზზე ვერ ვხედავთ. ხელბურთი დავიწყებას მიეცა, თუმცა სექციური მუშაობა მიმდინარეობს, მწვრთნელთა კადრებიც კვალიფიციურია და საკმაოდაც არიან.

ახალი სისტემით ჩატარებულმა ჩემპიონატმა მსაჯთა კოლეგიას (მთავარი მსაჯი ტ. გულბიანი) დიდი საზრუნავი გაუჩინა. რესპუბლიკაში რომ მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი მაღალკვალიფიციური მსაჯები გვყავს, ეს არავისთვის საიდუმლო არ არის, მაგრამ რატომღაც ისინიც კი თავს არიდებენ რესპუბლიკურ თამაშებს (ჯ. ძაგანიას გამოკლებით), ამიტომ ჩემპიონატის მთელი სიმძიმე ახალგაზრდა, გამოუცდელმა მსაჯებმა ატარეს და უნდა ითქვას, რომ მათ თავი არ შეურცხვენიათ. მართალია, იყო შეცდომები, გამოწვეული პრაქტიკის უკმარისობით, მაგრამ ისინი სწორდებოდა ტურიდან ტურამდე. ახალგაზრდობა სწავლობდა, იღებდა გამოცდილებას და მომავალში, უთუოდ გვექნება საშუალება ჩვენი მოწინავე მსაჯების გვერდით დავასახელოთ ისინიც, საკავშირო სარბიელზე დავულოცოთ გზა. კარგი, პრინციპული მსაჯობით თავი გამოიჩინეს ქუთაისელმა თ. კვეტენაძემ, რუსთაველმა ო. ხარაიძემ.

ჩემპიონატმა კიდევ ერთი პრობლემა დაგვიყენა წინ. ეს არის ხელმძღვანელთა თეორიული მოუმზადებლობა. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთ გუნდში თამაშობენ ისეთი სპორტსმენები, რომლებსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ თამაშის წესებზე, თამაშის სისტემებზე, რაც იწვევდა ზედმეტ პოლემიკას მსაჯებსა, მწვრთნელებსა და მოთამაშეებს შორის. სწორედ ამის მიზეზი იყო ისიც, რომ გუნდები უმთავრესად მიმართავდნენ დაცვის ერთადერთ სისტემას — 6+0, იშვიათად იყენებდნენ 5+1 (პერსონალურად), რომ აღარაფერი ვთქვათ 4+2 და 3+3-ზე, თანამედროვე ხელბურთის მოძრავ დაცვაზე. გუნდების ტაქტიკური სიღარიბე უკვე მწვრთნელთა სინდისზეა.

მომავალში შესაძლებელია პრაქტიკაში შემოღებულ იქნას მონაწილეთა თეორიული მომზადების შემოწმება სპეციალურ ნორმატივებთან ერთად, რაც ახალგაზრდა ხელბურთელებს დიდ დახმარებას გაუწევს თამაშის ათვისებაში, დაოსტატებაში.

1978 წლის ჩემპიონატი უკვე იანვარში აიღებს სტარტს. გათამაშებაში ნავარაუდევია 10-12 გუნდის მონაწილეობა, 4 წრედ, 6 ტურად. საჭიროა გათვალისწინებულ იქნას წლევანდელი ჩემპიონატის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რათა ტურნირი ჩატარდეს მაღალ დონეზე, როგორც ორგანიზაციულად, ასევე შემოქმედების თვალსაზრისით.

ჯ. აბაიშვილი,
სპორტის საპატიო ოსტატი.

გათამაშების საბოლოო ცხრილები

ქალთა გუნდები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.ს.	ქ.
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	12	11	1	0	318—171	23
ზოოვეტინსტიტუტი (თბილისი)	12	7	2	3	230—217	16
„განთიადი“ (ქუთაისი)	12	7	2	3	225—198	16
საქართ. ახალგაზრ. ნაკრები	12	8	0	4	243—200	16
უნივერსიტეტი (თბილისი)	12	3	0	9	164—206	6
„განთიადი“ (ბათუმი)	12	2	1	9	211—282	5
„კოლმეურნე“ (სოხუმი)	12	1	0	11	195—279	2

ფოთის გუნდი — მოიხსნა შეჯიბრე ბიდან.

ვაჟთა გუნდები

„ლოკომოტივი“ (თბილისი)	12	10	1	1	316—236	21
სამედიცინო ინსტ. (თბილისი)	12	7	2	3	330—281	16
უნივერსიტეტი (თბილისი)	12	5	4	3	344—323	14
საქართ. ახალგაზრ. ნაკრები	12	6	0	6	319—295	12
„კოლმეურნე“ (თელავი)	12	3	3	6	295—341	9
„კოლმეურნე“ (სამტრედია)	12	3	2	7	268—294	8
„განთიადი“ (ბათუმი)	12	2	0	10	297—393	4

„კოლმეურნე“ (სოხუმი) — მოიხსნა შეჯიბრებიდან.

წვრთნა დაიწყეს

მშვილდოსნობა

სპორტის გამოყენებითი სახეობების უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 2 სკოლაში, სადაც ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი მშვილდოსნებია თავმოყრილი, ამ სახეობის წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს სსრ კავშირის ხალხთა მორიგი სპარტაკიადისთვის მზადება. ახლა აქ ვარჯიშები ყოველდღე ეწყობა, ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკევობით კი ორჯერადი წვრთნა ტარდება.

ინტენსიურ ვარჯიშში ჩაბმულია 16 სპორტსმენი, მათ შორის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. რიჟამაძე, სპორტის ოსტატები: მ. გოდერძიშვილი, ე. გოლუბოვა, გ. არჩვაძე, ა. მეჟევიძე, გ. გორდეზიანი, ი. ლოგინოვი, ვ. ლეკვეიშვილი, ნ. ნოვოსელცოვი და სხვ.

ჩვენი მშვილდოსნები თავისუფალ დროს მაქსიმალურად ახმარენ საერთო ფიზმომზადებასა და ტექნიკის სრულყოფას.

ამ დღეებში საქართველოს ნაკრებს წახკაძორიდან ეწვივნენ სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატები — ბაქოს უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნ. მიქელაძე და კიევის „ლოკომოტივის“ მშვილდოსანთა მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ტ. შინკარიოვა, რომლებიც თბილისელ ი. ლოგინოვთან და სხვებთან ერთად წახკაძორში ვარჯიშობდნენ.

გამოცდილმა სპორტსმენებმა საქართველოს მშვილდოსნებთან ერთად რამდენიმე ერთობლივი ვარჯიში გამართეს. ეს ფოტოებიც სწორედ ამაზე მოგვითხრობენ.

პირველ სურათზე (მარცხნიდან)— გ. არჩვაძე, ნ. მიქელაძე, ტ. შინკარიოვა და ი. ლოგინოვი ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას; მეორე სურათზე აღბეჭდილია ერთი ჯგუფის წვრთნის მომენტი. ცეცხლის ხაზზე არიან (მარცხნიდან) ვ. ლეკვეიშვილი, ნ. მიქელაძე, ე. გოლუბოვა და სპორტის ოსტატობის კანდიდატი მ. ლოგინოვი.

ვ. მაჩაბლის ფოტოები.

ჭიდაობა

ტერნოპოლში ჩატარდა სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ნ. შჩორსის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოკრივეთა საკავშირო ტრადიციული ტურნირი. რინგზე გამოვიდა მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების 150-ზე მეტი სპორტსმენი.

წარმატებით იასპარეზეს ცხინვალელებმა. ამ ქალაქის შვიდი მოკრივიდან ხუთი საპრიზო ადგილზე გავიდა. 81 კგ წონით კატეგორიაში სპორტის ოსტატმა ჯ. ქოქოევმა ნახევარფინალში ნოკაუტით მოუგო ვ. ეგოროვს (უკრაინა), ფინალში კი პირველივე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო ლენინგრადელი ნ. ივანოვი. ქოქოევმა I ადგილი დაიკავა.

ტურნირზე მძიმე წონის ძალოსანმა ფ. ალბოროვმა II საპრიზო ადგილი მოიგო.

III საპრიზო ადგილები დაიკავეს: სპორტის ოსტატმა ბ. გასიევმა (75 კგ), სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა ა. კოჩიევმა (60 კგ) და ნ. ძაგოევმა (71 კგ).

გუნდს შეჯიბრებისთვის ამზადებდა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი დ. დადიანი.

ვ. მელქოევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

გდრ

10 ტურის შემდეგ საუკეთესო შედეგით — 18 ქულით ლიდერობს ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი — დრეზდენის „დინამო“. X ტურში იგი სტუმრად თამაშობდა „ხემისთან“ (ბიოლენი) და ფრედ დაამთავრა მატჩი — 1:1. „მაგდებურგი“, რომელსაც უეფა-ს თასზე დიდი წარმატებები აქვს, ამჯერად საკუთარ მინდორზე ფრეს (0:0) დასჯერდა ერთ-ერთ აუტსაიდერ „ვისმუტთან“ (აუე). ახლა „მაგდებურგი“ 15 ქულით II ადგილზეა. 12-12 ქულა მოაგროვეს „დინამომ“ (ბერლინი), „ხემიმ“ (ბიოლენი) და „უნიონმა“ (ბერლინი).

პოლონეთი

ლიდერმა — კრაკოვის „ვისლამ“ ზედიზედ 7 შეხვედრა დაასრულა ფრედ. ასე ითამაშა მან მე-16 ტურის მატჩი მილეცში „სტალთან“ — 1:1, შემდეგ კი საკუთარ მინდორზე „გურნიკთან“ (ზაბჟე) — 0:0. ასეთი უცნაური სერიის მიუხედავად „ვისლა“ კვლავინდებურად მტკიცედ ლიდერობს — 17 ტურის შემდეგ (25 ქულა). იგი 3 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „ლეხს“ (პოზნანი). 20 ქულით მესამე ადგილზეა ვარშავის „ლეგია“.

ჩეხოსლოვაკია

XII ტურის 8 მატჩს 72 ათასი მაყურებელი დაესწრო. აქედან ნახევარზე მეტი — 40 ათასი თვალს ადევნებდა მატჩს ბრნოში „ზბროიოვკასა“ და პრაღის „ბოჰემიანსს“ შორის. გაიმარჯვა „ზბროიოვკამ“ — 2:0, რომელიც ახლა დამაჯერებლად ლიდერობს — 19 ქულა. პრაღის „დუკლამ“ წააგო (0:1) ტეპლიცეში ადგილობრივ „უნიონთან“ და ლიდერს უკვე 4 ქულით ჩამორჩება. 14-14 ქულა მოაგროვეს პრაღის „ბოჰემიანსმა“ და „სლავიამ“.

სნაიპერთა შორის 11 ბურთით პირველ ადგილზეა კროუპა (ბრნოს „ზბროიოვკა“).

უნგრეთი

ლიდერმა — „უიპეშტ-დოჟამ“ საკუთარ მინდორზე 6 „მშრალი“ ბურთი გაიტანა „ზალაეგერშეგის“ კარში და 20 ქულით კვლავინდებურად პირველ ადგილზეა. ბუდაპეშტის მტკ რაკოშიში ფრედ — 2:2 ეთამაშა ადგილობრივ „კაპოშვარის“ და 18 ქულით მეორე ადგილზე იმყოფება. ამ სეზონში ძალიან უჭირს ბუდაპეშტის პოპულარულ „ფერენცვაროშს“. იგი აგებდა შინ ბოლოსწინა, მე-17 ადგილზე მყოფ „სეგედთან“ და მხოლოდ 89-ე წუთზე ესტერჰაზის მიერ გატანილი გოლის წყალობით გამოგლიჯა მეტოქეს გამარჯვება — 3:2. მაგრამ მისი სატურნირო მდგომარეობა დიდად არ გაუმჯობესებულა — 12 თამაშიდან 12 ქულით გუნდი X ადგილზეა.

ბულგარეთი

13 ტურის შემდეგ 17-17 ქულით I-II ადგილებზე არიან სოფიის გუნდები ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“ და „ლოკომოტივი“, ამასთან არმიელებს ბურთების რამდენადმე უკეთესი შეფარდება აქვთ. 15-15 ქულა მოაგროვეს სოფიის „სლავიამ“, „ლევსკი-სპარტაკმა“ (ამ გუნდს ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული), პლოვდივის „თრაკიამ“ და ვარნის „სპარტაკმა“.

რუმინეთი

13 ტურის შემდეგ 19 ქულით პირველ ადგილზეა არმიელთა კლუბი „ასა“ (ტირგუ მურეში). განვლილ ტურში მან საკუთარ მინდორზე გაიმარჯვა კრაკოვის „უნივერსიტატეასთან“ — 1:0. ეს ერთადერთი გოლი თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე გაიტანა პიშლარუმ. ლიდერს 3 ქულით ჩამორჩნენ პიტეშტის „არგეში“, ტიმიშოარის „პოლიტეხნიკა“ და ბუქარესტის „სპორტული“. პიტეშტელებს შინ ძნელი მატჩი ჰქონდათ „დინამოსთან“ (ბუქარესტი). მასპინძლებმა გაიმარჯვეს დობრინის მიერ გატანილი ერთადერთი ბურთის წყალობით.

სნაიპერთა შორის 10 ბურთით პირველ ადგილზეა „ოქროს ბუცის“ ორგზის მფლობელი ჯორჯესკუ (ბუქარესტის „დინამო“).

იუგოსლავია

ბელგრადის „პარტიზანი“ მატჩს მატჩზე იგებს და უკვე კარგა ხანია გახდა „შემოდგომის ჩემპიონი“, თუმცა პირველი წრე ჯერ არ დამთავრებულა.

მე-16 ტურში ლიდერმა დაამარცხა „ოსიეკი“ (2:0) და 7 ქულით უსწრებს „ცრვენა ზვეზდას“ (ბელგრადი), სპლიტის „ჰაიდუკსა“ და ზაგრების „დინამოს“. „ცრვენა ზვეზდას“ ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. საპრიზო ადგილების პრეტენდენტთა რიცხვიც, ეტყობა, ჯერჯერობით ამ ოთხეულით უნდა შემოიფარგლოს.

ბოლო მატჩებს ძალზე წარუმატებლად ატარებს ლიუბლიანის „ოლიმპია“. 16 თამაშის შემდეგ მას 12 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში ბოლოსწინა, მე-17 ადგილი უჭირავს. მისი შარშანდელი მწვრთნელი მილოშევიჩი ახლა ტიტოგრადის „ბუდუჩნოსტს“ უდგას სათავეში.

შოტლანდია

XIV ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა გლაზგოში, სადაც „სელტიკმა“ მძაფრ ბრძოლაში სძლია (3:2) მეორე ადგილზე მყოფ „აბერდინს“. ახლა „სელტიკს“ 14 თამაშიდან 14 ქულა აქვს და იმედოვნებს მდგომარეობის გამოსწორებას.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა „გლაზგო რეინჯერსმა“, ამჯერად „სენტ-მირენთან“ — 2:1.

ბელგია

უკვე შეიძლება ლაპარაკი იმ სამ გუნდზე, რომლებსაც ჩემპიონობის პრეტენზიები ექნებათ. ესენია „ანდერლეხტი“ „ფკ ბრიუგე“ და ლიეჟის „სტანდარდი“.

XIV ტურში „ანდერლეხტმა“ მძაფრ ბრძოლაში სძლია „ვინტერსლაგს“ — 3:2. „ბრიუგემ“ ასევე საინტერესო მატჩში 2 ქულა აიღო (4:2) „მოლენბეკთან“, „სტანდარდი“ კი ანგარიშით 1:3 დამარცხდა „ბერინგენთან“.

14 ტურის შემდეგ 20-20 ქულა აქვთ „ანდერლეხტსა“ და „ბრიუგეს“, ამასთან ბრიუსელელთა ბურთების სხვაობა რამდენადმე უკეთესია. 19 ქულა დააგროვა ლიეჟის „სტანდარდმა“.

ჩემპიონატები, თასები, ლიგები

ინგლისი

XVI ტურის გარკვეული მოულოდნელობა იყო ლიდერის — „ნოტინჰემ ფორესტის“ მარცხი. იგი ლიდსში თამაშობდა ადგილობრივ „ლიდს იუნაიტედთან“, რომელსაც შეჯიბრების ცხრილში X ადგილი უჭირავს. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც 37-ე წუთზე გაიტანა ლიდსელმა ჰენკინმა სტუმრების კარში.

მეორე ადგილზე მყოფმა „ევერტონმა“ სტუმრად ფრედ (3:3) ითამაშა „იფსვიჩ თაუნთან“. საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ევერტონი“ მარცხს გადაურჩა მხოლოდ ბოლო წუთზე. მიმდინარე სეზონში ყურადღებას იპყრობს „კოვენტრი სიტი“, რომელმაც შინ ანგარიშით 4:1 სძლია ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსს“.

მე-16 ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ბირმინგამ სიტი“ — „ლესტერ სიტი“ 1:1, „ჩელსი“ — „ასტონ ვილა“ 0:0, „დერბი ქაუნთი“ — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ 2:1, „ლივერპული“ — „ბრისტოლ სიტი“ 1:0, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ 0:0, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „არსენალი“ 1:2, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „მანჩესტერ სიტი“ 0:0.

24 ქულით კვლავინდებურად ლიდერობს „ნოტინჰემ ფორესტი“, 22-22 ქულა აქვთ „ევერტონსა“ და „კოვენტრი სიტის“, 21 — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“, 20-20 ქულა — „არსენალსა“ და „ლივერპულს“.

საფრანგეთი

ლიდერი ისევ შეიცვალა — „მონაკო“ სენტ-ეტიენში ეთამაშა ამავე სახელწოდების გუნდს და წააგო — 0:1. ამასობაში „ნიცამ“ საკუთარ მინდორზე მიიღო კორსიკელების გუნდი „ბასტია“, მოიგო 3:1 და დაიბრუნა დაკარგული ლიდერობა.

16 ტურის შემდეგ „ნიცას“ 24 ქულა აქვს, „მონაკოს“ — 23. მარსელის „ოლიმპიკმა“ ანგარიშით 2:0 სძლია „მეცს“ და 22 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

იტალია

ტრადიციულ მეტოქეებს — „იუვენტუსსა“ და „ტორინოს“, რომლებიც ორი უკანასკნელი ჩემპიონატის მანძილზე შორს იტოვებდნენ ხოლმე დანარჩენ გუნდებს, წლეულს მეტად სახიფათო კონკურენტი გამოუჩნდა. ეს არის „მკვდრეთით აღმდგარი“ იტალიის მრავალგზის ჩემპიონი „მილანი“, რომელიც ძირითადად ვეტერანებისგან შედგება და ჯერჯერობით ფრიად დამაჯერებლად თამაშობს. გუნდის ხელმძღვანელობას ერთი მნიშვნელოვანი საკითხი აღელვებს — გაუძლებენ თუ არა ბოლომდე ვეტერანები?

VIII ტურის შედეგები ასეთია: „მილანი“ — „ბოლონია“ 1:0, „ატლანტა“ (ბერგამო) — „ჯენოვა“ 1:1, „ფიორენტინა“ — „ლანეროსი“ (ვიჩენცა) 1:3, „ფოჯა“ — „პესკარა“ 2:0, „პერუჯა“ — „ინტერი“ 1:1, „რომა“ — „ლაციო“ 0:0, „ტორინო“ „ნაპოლი“ 1:0, „ვერონა“ — „იუვენტუსი“ 0:0.

8 ტურის შემდეგ „მილანს“ 13 ქულა აქვს, „ტორინოს“ — 11, „იუვენტუსს“ — 10. „ინტერი“ 8 თამაშიდან 8 ქულით სატურნირო ცხრილში X ადგილზეა.

ავსტრია

XV ტურში ლიდერი — „აუსტრია“ (ვენა) საკუთარ მინდორზე შეხვდა გრაცის „შტურმს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. ამასობაში გრაცის მეორე გუნდი აკ შინ ეთამაშა „სვაროვსკი-ვაკერს“ (ინსბრუკი) და დაამარცხა იგი — 3:2.

ამან კიდევ უფრო განამტკიცა „აუსტრიას“ წამყვანი პოზიცია — გუნდს 15 თამაშიდან 24 ქულა აქვს. იგი 7 ქულით უსწრებს „სვაროვსკი ვაკერსა“ და „შტურმს“ (გრაცი).

პორტუგალია

8 ტურის შემდე 14 ქულით ლიდერობს „ბენფიკა“. მან ანგარიშით 6:0 სძლია „მარიტიმოს“. ლიდერის მდგომარეობა მაინცდამაინც მტკიცე არ არის, ვინაიდან „პორტოს“ 11 ქულა აქვს და ერთი მატჩიც მარაგში. VIII ტურში „პორტომ“ მიიღო გიმარაიშის „ვიტორია“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. ასევე 11-11 ქულა, ოღონდ 8-8 მატჩიდან, მოაგროვეს ლისაბონის „სპორტინგმა“ და „ბრაგამ“.

თურქეთი

ნათამაშევია 9 ტური. ლიდერობს „ფენერბახჩე“ (სტამბოლი), რომელმაც ფრედ (2:2) ითამაშა „დიარბექირსპორთან“ და ახლა 12 ქულა აქვს, ამასთან ლიდერმა ერთი მატჩი გამოტოვა. 11 ქულა აქვს „გალათასარაის“ (სტამბოლი), რომელმაც ბოლო მატჩი სტუმრად ფრედ (0:0) დაასრულა „სამსონსპორთან“. „ტრაბზონსპორმა“ სტუმრად გაიმარჯვა (1:0) „ბურსასპორთან“, 10 ქულა მოაგროვა და მესამე ადგილზე გადაინაცვლა. ამდენივე ქულა აქვს „ეშკიშეხირსპორს“.

გფრ

თასის მერვედფინალის მატჩების შედეგები ასეთია: „ჰომბურგი“ — „ჰერტა“ (დას. ბერლინი) 1:1 (მეტოქეები ისევ შეხვდებიან ერთმანეთს), „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) — „ბოხუმი“ 3:0, „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) — „აინტრაჰტი“ (ბრაუნშვაიგი) 3:1, „კიოლნი“ — „კარლსრუე“ 4:0, „შალკე 04“ — „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ 4:2, „შვარცვაისი“ (ესენი) — „ვესტფალია“ (ჰერნე) 0:0 (მეტოქეები ისევ შეხვდებიან ერთმანეთს), „ლანგვედე“ — „დუისბურგი“ 1:3.

ვნებათა ღელვა

ა. საკოვის ფოტო.

ჰოკეი

ჯერჯერობით „გადადებული“ მეათასე გოლი

მეტოქეთა კარში 1000 გოლი ჯერ არც ერთ ჰოკეისტს არ გაუტანია, მაგრამ ამ საოცარ ზღვარს ძალზე მიუახლოვდა კანადელი პროფესიონალი ჰოკეისტი 49 წლის გორდი ჰოუ.

ამ დღეებში კვებეკის სპორტის სასახლე „კოლიზეუმში“ ჰოკეის 11 ათასმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი, — ოტავიდან იუწყება საკდესის კორესპონდენტი, — ყველას სურდა საკუთარი თვალით ენახა გორდი ჰოუს მეათასე შაიბა. მაგრამ მათ საერთოდ ყინულის სარბიელზე გამოსულიც ვერ იხილეს საყვარელი ჰოკეისტი. ნიუ-ინგლენდის გუნდისა (რომელშიც თამაშობს ამჟამად „კანადის ჰოკეის უხუცესი“) და ედმონტონის ჰოკეისტების შეხვედრის დროს ჰოუ დაშავდა და ჯერჯერობით არ ასპარეზობს.

ჰოუმ განაცხადა, რომ მე-1000 შაიბა კანადის ჰოკეის ისტორიაში „შესამჩნევი ეტაპი“ იქნება, მაგრამ იგი უფრო კმაყოფილი იყო მაშინ, როცა მორის რიშარის რეკორდს (544 შაიბა) გადააჭარბა. როგორც ცნობილია, ახლახან მეორე კანადელმა პროფესიონალმა ჰოკეისტმა ფილ ესპოზიტომ მე-600 შაიბა შეაგდო.

„ახლა, — თქვა ჰოუმ, — თანაგუნდელები ცდილობენ გამატანინონ მე-1000 გოლი, მაგრამ ჰოკეის ასე ვერ თამაშობენ. მაგალითად, ტ. უებსტერმა ბოლო მატჩში მომაწოდა შაიბა, როცა ხელსაყრელ პოზიციაში ვიყავი, მაგრამ მე იგი კარს ავაცდინე“. (საკდესი).

ფრენბურთი

მეორე მოგება ფინალში

ტოკიო, 28 ნოემბერი. მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ტურნირში საბჭოთა ფრენბურთელებმა მეორე გამარჯვება მოიპოვეს. ამჯერად საბჭოთა ნაკრებმა მოუგო ოლიმპიურ ჩემპიონებს — პოლონელ სპორტსმენებს ანგარიშით 3:0.

მეორე მატჩში იაპონიის ნაკრებმა დაამარცხა კუბის გუნდი — 3:0.

ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ნაკრები გუნდები. (საკდესი).

იზრდება სტუდენტური სპორტის ავტორიტეტი

ბრატისლავა, 28 ნოემბერი. საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფისუ) აღმასკომის სხდომის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს მსოფლიოში საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება და უნივერსიადების ავტორიტეტი. ფისუ-ს დიდ როლზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი მიღებულია იუნესკოს სპორტულ ორგანიზაციაში.

სხდომებზე შეაჯამეს ფედერაციის მუშაობის ანგარიში და განიხილეს საუნივერსიტეტო სპორტის განვითარებისა და მომდევნო შეჯიბრებების ჩატარების საკითხები, რომელთაგან მთავარი ზამთრისა (1978 წ. ჩეხოსლოვაკია) და ზაფხულის (1979, მეხიკო) უნივერსიადებია.

ჩეხოსლოვაკიის საუნივერსიტეტო სპორტის წარმომადგენლებმა ფისუ-ს აღმასკომის წევრებს მოახსენეს შპინდლერ-მლინის (5-18 თებერვალი) ზამთრის უნივერსიადისთვის მზადების შესახებ. აღმასრულებელმა კომიტეტმა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია როგორც სამზადისი, ასევე შეჯიბრების ადგილი, სპორტული ნაგებობები, რომლებიც, სპეციალისტთა აზრით, ყველა მოთხოვნას უპასუხებენ. როგორც ვარაუდობენ, ზამთრის უნივერსიადაში 25 ქვეყნის 700-ზე მეტი სტუდენტი იასპარეზებს.

აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა, აგრეთვე, მექსიკის (სადაც ზაფხულის უნივერსიადა 2-13 სექტემბერს უნდა ჩატარდეს) წარმომადგენლის ცნობა, რომ ტრადიციული უფლებით თამაშების პროგრამაში 9 სავალდებულო სპორტის სახეობის გარდა, შეიტანენ ფეხბურთს. (საკდესი).

„მაგალითი, მხარდაჭერა და აღმაფრენა“

სოფია. აქ შედგა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია თემაზე: „საბჭოთა სპორტი — მაგალითი, მხარდაჭერა და აღმაფრენა“.

ფიზკულტურისა და სპორტის ბულგარეთის კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ტ. მარტინსკიმ თავის მოხსენებაში მოიყვანა საბჭოთა პედაგოგთა და სპეციალისტების დახმარების რამდენიმე ნათელი მაგალითი. მათ დიდი ამაგი დასდეს ბულგარეთის სპორტული მეცნიერების განვითარებისა და ორი მოძმე ქვეყნის სპორტსმენთა მჭიდრო თანამშრომლობის საქმეს.

„ამ უღიდესი დახმარების წყალობით, — აღნიშნა მომხსენებელმა, — ბულგარელმა სპორტსმენებმა მაღალ მაჩვენებლებსა და გამარჯვებებს მიაღწიეს“. (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-57; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 4. უე 10262